ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა
ალ. ჭავჭავაძის II ჩიხი №19




თბილისი

2018, ნოემბერი


საკვლევი ობიექტი მთაწმინდის კალთაზე, თბილისის ისტორიულ ცენტრში – მთაწმინდის უბანში, ალ. ჭავჭავაძის ქუჩის I ჩიხის №2-ში მდებარეობს.

მთაწმინდის უბანში ურბანული განაშენიანება XIX საუკუნის შუა ხანებიდან განვითრდა. XIX ს-ის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში მთაწმინდის ქვედა უბანში ძირითადად ბურჟუაზიული საზოგადოება სახლობდა. ამან განაპირობა უბნის არქიტექტურული სახეც. მისთვის დამახასიათებელია მსხვილმასშტაბიანი, ძირითადად კლასიცისტური სტილის შენობები, რომელთაც ევროპული სტილის „თბილისურად“ გადამუშავებული ნაგბობები და ტიპიურად თბილისური სახლები ენაცვლება.




1913 წ.

აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში მთაწმინდის ზედა მხარეს ციცაბო ფერდის განაშენიანება კვლავ ერთ-ორსართულიანი კერძო სახლებისაგან შედგება და ისინი ძირითადად ნაკლებად შეძლებულ მობინადრეებს ეკუთვნოდათ, რადგანაც ეს მიკროუბანი ძნელად მისადგომია დღესაც და ძირითადად ფეხსავალი ბილიკებით, ვიწრო ქუჩებით და ქუჩა-კიბეებით არის დასერილი. სწორეს ასეთი ხასიათის არის ალ. ჭავჭავაძის ქუჩის ზედა ჩიხების და მიმდებარე რიწის, კოტე მესხის და სხვ. ქუჩათა ქსელი.



როგორც ძველი თბილისის ისტორიულ პანორამაზე ჩანს, ეს მიკროუბანი XX საუკუნის დასაწყისში მჭიდროდ იყო განაშენიანებლი ჯერ კიდევ ტიპურად „თბილისური“ ხასიათის ნაგებობებით. განაშენიანება ორ-სამსართულიანი იყო, ხოლო მიკროუბნის გარე პერიმეტრზე უფრო მეტად მასშტაბური ნაგებობებით იყო მოსაზღვრული. საარქივო ფოტოზეც და ისტორიულ რუკაზეც კარგად ჩანს საიმპერიო მმართველობის მიერ სწორხაზოვნად დაგეგმარებული ქუჩების სისტემის და ქაოტური ძველი, რელიეფზე შეფენილი განაშენიანების ბმის ადგილი.




ალ. ჭავჭავაძის ქუჩისა და II ჩიხის კვეთა საკმაოდ ცხოველხატული მონაკვეთია მთაწმინდის კალთის განაშენიანებაში. ქუჩა სრულდება აგურისა და ქვის შერეული წყობით ნაგები დამცავი კედლით, რომელის თავზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ჭავჭავაძის ქ. №20-ის წინ არსებული ტერასა მდებარეობს. სწორედ ამ ბაქანს მიუყვება ქვით მოკირწყლული ჩიხი, რომელიც მთაწმინდის ზედა უბანში კოტე მესხის ქუჩამდე ვითარდება.





ალ. ჭავჭავაძის II ჩიხის №19-ით რეგისტრირებული ნაგებობა ქუჩიდან კარგად არ აღიქმება, რადგანაც აქ არსებული დამრეცი მონაკვეთის თავში არის მოქცეული. ერთ-ორსართულიანი მოცულობებისაგან შემდგარი მიკროსტრუქტურა არ შეიცავს ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე ნაწილებს და არ არის რეგისტრირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში.







ქუჩიდან ნალესი გალავნით მოსაზღვრული მართკუთხა ფორმის ეზო რულარული ტიპის ერთსართულიანი სახლის წინ ვითარდება. ეზო შედარებით მაღალ ბაქანზეა განთავსებული და Г-ს ფორმის ერთსართულიანი მოცულობით არის გარშემორტყმული.





აღსანიშავია ასევე, რომ საკვლევი ტერიტორიის უკან აგურით ნაშენი ყოფილი სკოლის მაღალი, ოთხსართულიანი შენობა დგას. ამჟამად შენობა ცარიელია და მასში აღარ ფუნქციონირებს სასწავლო დაწესებულება.



დასკვნა-რეკომენდაციები

ალ. ჭავჭავაძის II ჩიხის №19 ნაგებობა არ წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებას. შესაბამისად, მისი დემონტაჟი შესაძლებელია.

არსებული ნაგებობის ადგილზე ახალი მოცულობის დაგეგმვა სასურველია მოხდეს ისტორიული მიკროუბნის განაშენიანების მასშტაბის და დამრეცი რელიეფის თავისებურების გათვალისწინებით, კერძოდ, შენობის სივრცით-მოცულობითი განაწილება უნდა დაექვემდებაროს ვიზუალური აღქმის კანონებს – სიმაღლის თანდათანობითი მატების პრინციპით.

ვინაიდან არსებული ობიექტის გვერდით საკმარისად მაღალი აგურის ნაგებობა (სკოლა) მდებარეობს, ვფიქრობ, უმჯობესი იქნება ახალი მოცულობის უფრო მაღალი ნაწილის უკანა პლანზე განთავსება, ხოლო წინა, ქვევიდან რაკურსში აღქმადი ნაწილი უნდა იყოს შედარებით დაბალი.

საშენ მასალად ისე, როგორც ზოგადად ძველ უბნებში, ამ შემთხვევაშიაც, სასურველია გამოყენებული იყოს თბილისისათვის ტრადიციული აგური, ნალესი კედლები, ან თანამედროვე მასალებიდან ბუნებრივი ფაქტურის მქონე ერთგვაროვანი ხასიათის მოსაპირკეთებელი მასალა – ბეტონი, დაჟანგული ლითონი და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ ახალი ნაგებობა ბუნებრივად შეერწყას როგორც რელიეფს, ასევე გარემო განაშენიანებას, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი მასშტაბის და შესაფერისი იერსახის შერჩევა;

გადახურვის ნაწილში სასურველია ქანობიანი სახურავების პრინციპის გამოყენება, ამასთან, ხედვითი პერსპექტივის გათვალისწინებით, ნაწილობრივ შესაძლებელია ტერასული – ბანის ტიპის გადახურვის გამოყენებაც;

სახურავის მასალა სასურველია იყოს დაჟანგული ლითონის ფერი.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი